



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 180
19/03/2019

180-09-4-201903191828



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის
გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ლია მახარაძის 2019 წლის 19 მარტის N808-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1) გამოცხადდეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ შემდეგ ვაკანტურ პოზიციებზე დახურული კონკურსი:

ა) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადგილების რაოდენობა 1 (ერთი);

ბ) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ადგილების რაოდენობა 2 (ორი);

2) გამოცხადდეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ მერის თანაშემწის პოზიციაზე გამარტივებული კონკურსი - ადგილების რაოდენობა 1 (ერთი).

3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტს (ადამიანური რესურსების მართვისა და არქივის საკითხებში) ლია მახარაძეს უზრუნველყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიუროსთვის ვაკანტური პოზიციების გამოცხადების შესახებ შეტყობინების გაგზავნა;

4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (დაბა ხულო, აღმაშენებლის ქ. N5) ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ვახტანგ ბერიძე


მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა